საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/07 **21/03/2023**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოს

რეცენზია

COVID-19 სადღეისოდ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ბოლო ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში სულ დადასტურებულია COVID-19-ის 760,360,956 შემთხვევა, მათგან 6,873,477 ავადმყოფი მოკვდა.

პროფესორ თენგიზ ცერცვაძის ავტორობით **განახლებულ იქნა** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 9 ივნისის № MOH 2 22 00000017 ბრძანებით *დამტკიცებული* ***„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა მოზრდილ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში“*** კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი).

ჯანმო-ს, აშშ ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების, ამერიკის ინფექციურ დაავადებათა საზოგადოების, სხვა საერთაშორისო ავტორიტეტული ასოციაციების/საზოგადოებების COVID-19-ის მკურნალობისა და მოვლის გაიდლაინების/რეკომენდაციების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სხვა უახლესი ლიტერატურის შედეგების საფუძველზე, ზემოთაღნიშნულ გაიდლაინში, ავტორების მიერ განხორციელდა ცვლილებები.

გაიდლაინის განახლებულ ვერსიაში სრულყოფილადაა ასახულია COVID-19-ით, მათ შორის მძიმე და კრიტიკულად მძიმე, ავადმყოფების მკურნალობისა და მოვლის უახლესი მიღწევები და საერთაშორისო რეკომენდაციები.

გაიდლაინი დიდ დახმარებას გაუწევს ქვეყანაში COVID-19-ით პაციენტების მკურნალობისა და მოვლის პროცესში ჩართულ ინფექციონისტებს, შინაგანი მედიცინის სპეციალისტებს, რეანიმატოლოგებს, ოჯახის ექიმებს და სხვ., COVID-19-ით პაციენტების მკურნალობის შემდგომი ოპტიმიზაციისა და გამოსავლების გაუმჯობესების საქმეში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინების) და კლინიკური

მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე პროფესორ თენგიზ ცერცვაძის მიერ წარმოდგენილ „**ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა მოზრდილ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში“** კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) განახლებულ ვერსიას.

პატივისცემით,

ირინა ქაროსანიძე

Irine

Digitally signed by Irine Karosanidze

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის

პრეზიდენტი